



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 20

ქ. თბილისი

15 თებერვალი 2018 წ.

2018 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური
გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის
გამოცხადების შესახებ

“სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის
ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების
უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, სამსახურებრივი
ბარათის (N162838, 14.02.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2018 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის
საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს 2018 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2018 წლის კონკურსის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის
შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის
შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე
განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის
აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო
პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (შემდგომში - DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) საგრანტო კონკურსის პირობები (შემდგომში - პირობები) არეგულირებს ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - საგრანტო კონკურსი) გამართვის წესს, საგრანტო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებს.
2. საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:
 - ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;
 - ბ) საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარებითა და საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების გზით გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში;
 - გ) თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.
3. საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და DAAD ერთობლივად.
4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს:
 - ა) **ახალგაზრდა მეცნიერების** (საქართველოს მოქალაქე, რომლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წელი) გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
 - ბ) **დოქტორანტების** გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
 - გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
5. საგრანტო კონკურსი მოიცავს DAAD-ის კლასიფიკატორის შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:
 - ა) ენები და კულტურის კვლევები;
 - ბ) სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები;
 - გ) მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - დ) მედიცინა;
 - ე) ვეტერინარული მედიცინა, მეტყვეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები;
 - ვ) ინჟინერია;
 - ზ) ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. პროექტის განმცხადებელი უნდა იყოს ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორანტი ან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;